ხელშეკრულება 27/გ

ქ. თბილისი 29 /02 / 2016 წ.

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით (შემდგომში "შემსყიდველი"), ერთი მხრივ და შპს „პრესტიჟი", მისი დირექტორის მაია პაპალაშვილის სახით (შემდგომში "გამყიდველი") მეორე მხრივ, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მყიდველი გამყიდველისგან იღებს "ისი პარი"-ს სასაჩუქრე ბარათებს შემდეგი ნომინალით და რაოდენობით: 86 (ოთხმოცდათექვსმეტი) ცალი 50 (ორმოცდაათი) ლარიანი "ისიპარი"-ს სასაჩუქრე ბარათი, შემდგომში "ბარათი" (SPV33700000)

1.2 წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გათვალისწინებული ბარათები საშუალებას აძლევს მის მფლობელს, ისი პარის მაღაზიათა ქსელში შეიძინოს სხვადასხვა სახეობის პროდუქცია, ბარათზე დაფიქსირებული ნომინალის ფარგლებში.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1 გამყიდველი:

2.1.1 ვალდებულია გადასცეს მყიდველს ბარათები სრულად, უნაკლო მდგომარეობაში, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

2.2 მყიდველი:

2.2.1 ვალდებულია გადაიხადოს სახელშეკრულებო თანხა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში გამყიდველი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

2.3 ჭინამდებარე ხელშეკრულების თანახმად მიმწოდებლის მიერ გაცემულ სასაჩუქრე ბარათებზე არ ხდება ანგარიშფაქტურის ან/და სასაქონლო ზედნადების გამოწერა, რაზეც მყიდველს არ შეიძლება გააჩნდეს პრეტენზია. მხარეთა შორის დგება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტი და იწერება ინვოისი.

3. ფასი და ანგარიშსწორების წესი

3.1. შემსყიდველის მიერ გამყიდველის ანგარიშზე ჩასარიცხი თანხის ოდენობა შეადგენს: 3655 (სამიათას ექვსასორმოცდათხუთმეტი)ლარს.

3.2. სახელშეკრულებო თანხის ჩარიცხვა ხდება უნაღდო ანგარიშწორების წესით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

3.3. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2016 წლის 01 მაისის ჩათვლით

4. ხელშეკრულების პირობების შეცვლა და შეწყვეტა

4.1 ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს მხარეთა დამატებითი, წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. ცალმხრივად შეტანილი ცვლილება ან დამატება ბათილია შეტანის მომენტიდან.

4.2 ყველა დამატებითი შეთანხმება ან სხვა რაიმე საბუთი, რაც მხარეთა მიერ მიღებულ იქნება ამ ხელშეკრულების მოქმედებასთან ან ხელშეკრულების ტექსტიდან გამომდინარე, წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4.3 მხარეთა შორის ყველა დავა გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის საკითხს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განიხილავს საქართველოს სასამართლო.

5. ხელშეკრულების ვადები

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მასზე მხარეთა ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

6. ფორს-მაჟორი

6.1 თუ ვალდებულების შესრულება ფერხდება ან შეუძლებელია ერთ-ერთი მხარისათვის დაუძლეველი ძალის გარემოებათა გამო (ხანძარი, წყალდიდობა, ომი, საომარი მოქმედებები, სახელმწიფო აქტი და ა.შ.), მხარეები დროებით, ამგვარი გარემოებების ლიკვიდაციამდე თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან. დაუძლეველი ძალის დადგომის ფაქტი უნდა დაფიქსირდეს წერილობით.

7. დასკვნითი დებულებები

7.1 ამ ხელშეკრულებაზე ხელისმომწერი მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების ყველა პუნქტი და პირობა, გაგებულია მათ მიერ სწორად და ეთანხმებიან მათ.

7.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად ყოველი მხარისთვის ცალ-ცალკე. სამივე ეგზემპლარს გააჩნია ერთნაირი იურიდიული ძალა.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი გიორგი პაპაშვილი.

მხარეთა რეკვიზიტები:

გამყიდველი	შემსყიდველი
შ.პ.ს. "პრესტიჟი"	მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის
ს/კ 205038252	ს/კ 236098824
მის: ქ. თბილისი, ვაზისუბნის ქ. №9	მის. ქ. მცხეთა ანტიოქიის N7
ტელ: 2 37 71 92	ტელ:2512696
ბანკი ს/ს "ბანკი რესპუბლიკა"	ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
SWIFT – REPLGE22	ბანკის კოდი: TRESGE22
IBAN – GE44 BR00 000 106 147 866 45	ა/N GE24NB0330100200165022
ირექტორი	გამგებელი
მაია პაპალაშვილი	ზ. აბესაძე